მოგვეშველა... ანტონევიჩი!

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი 26 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) - ასკ (როსტოვი) - 2:1 (1:0).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭოხონელიძე, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, მაჩაიძე (მეტრეველი, სიჭინავა), გ. ნოდია, ლ. ნოდია.

ასკ: კუდასოვი, მალიხა, ანტონევიჩი, რომანოვი, სინაუ, სერისტანოვი, პოპოვი (ტლიარუგოვი), ტრემბაჩი, კორნეევი, ჩინჩენკო, ვასენინი.

მსაჯი: ბ. ბლოზეროვი (ტაშკენტი).

დუბლიორები - 1:0 როსტოველთა სასარგებლოდ.

საყვედური გამარჯვებისთვის? ასეთი რამ ხდება ხოლმე, მაგრამ ძალიან იშვიათად. გამარჯვებული, ჩვეულებრივ, ქებას იმსახურებს.

მაგრამ თბილისის დინამოელები როსტოვის გუნდთან გამარჯვებისთვის ხოტბის ღირსნი მაინცდამაინც ვერ არიან. მაყურებელს დინამოელთა მიმართ საკმაოდ აქვს პრეტენზიები და სავსებით სამართლიანადაც. ლუგანსკში საუკეთესოდ ჩატარებული მატჩის შემდეგ მათ ერთობ უფერულად ითამაშეს შინ და, მართალია, აიღეს საჭირო 2 ქულა, ხეირიანი ვერაფერი გვიჩვენეს. ამიტომ მათი გამარჯვებაც ვერ გამოიყურებოდა სავსებით დამაჯერებლად.

პირველი და უმთავრესი, რაც თვალში გვხვდება, როცა თბილისელთა თამაშს უყურებ, ესაა უკიდურესი ინდივიდუალიზმი, ბურთის გაუთავებელი, დაუბოლოვებელი, ყოვლად გაუმართლებელი ტარება. ჩვენ მრავალ თამაშს ვნახულობთ თბილისში თუ სხვა ქალაქებში, სისტემატურად ვუცქერით მატჩებს ტელევიზიით და არ ვიცით რამდენადმე მაინც ცნობილი, მაღალი კლასის გუნდი, რომელიც ასეთი სისტემით თამაშობდეს, ასე ვნებდეს საკუთარ თავს ბურთის უსასრულო ღეჭვით.

თბილისის “დინამოს” ყოველთვის ჰყავდა და ახლაც ჰყავს საუკეთესო დრიბლიორები, ბურთის ფლობის პირველხარისხოვანი ოსტატები. დრიბლინგი მოწინააღმდეგის დეზორგანიზაციის საუკეთესო საშუალებაა. მაგრამ იგი უნდა შესრულდეს, როცა ეს საჭიროა, შესრულდეს სწრაფად, მოულოდნელად. იგი გუნდის საერთო ტაქტიკის ორგანულ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს და არ აფერხებდეს ტემპს. ამას გარდა, ფეხბურთელი უნდა სათანადოდ ფლობდეს დრიბლინგის რთულ ხელოვნებას, აყვანილი ჰყავდეს იგი სრულყოფამდე.

თბილისის “დინამოს” მოთამაშეთა ერთ ნაწილს, ეტყობა, დრიბლინგის თავისებური გაგება აქვს. ის, რასაც ჩვენ უმეტეს შემთხვევაში ვხედავთ მინდორზე, არაა დრიბლინგი - როგორც თამაშის ტაქტიკური გეგმის საჭირო, ეფექტური იარაღი. ესაა მხოლოდ ინდივიდუალიზმი, თვითმიზანი, ბურთის უსარგებლო ფრონტალური თრევა, ტემპის შენელება, პარტნიორის იზოლაცია. მოწინააღმდეგესაც სწორედ ეს უნდა: სანამ შენ ბურთს ატარებ, იგი ყველა გზას კეტავს, თითოეულ მოთამაშეს მკაცრი კონტროლის ქვეშ იყვანს და სწრაფად ნახულობს მომენტს, რათა ბურთის წართმევისთანავე გადავიდეს კონტრშეტევაზე.

გაიხსენეთ ჩვენი ნახევარდაცვის თამაში განვლილ მატჩში. ასათიანიც, ილიადიც, პეტრიაშვილიც მხოლოდ იმის ცდაში არიან, რაც შეიძლება მეტი დრო მოანდომონ

მინდვრის შუა ნაწილის გავლას, გააჩერონ იქ ბურთი, შეაფერხონ ტემპი, საშუალება მისცენ მოპირდაპირე დაცვას ჩაკეტოს თავდამსხმელები. ეს ხდება არა ეპიზოდებში, ცალკეული შეცდომების სახით, არამედ სისტემატურად, განუწყვეტლივ და ამდენად მას პრინციპული ხასიათი აქვს. თბილისის "დინამოს" მთავარი იარაღი - ტემპი, სისწრაფე, მოულოდნელი მანევრი, აბსოლუტურად იქნა დაკარგული როსტოველებთან შეხვედრაში, სწორედ იმის გამო, რომ ზემოჩამოთვლილი ნახევარმცველები არაფრად დაგიდევენ გუნდის საერთო გეგმას და შუა მინდორში ტკეპნიან ბალახს.

იგივე სენი ჭირთ მცველებსაც. ძოძუაშვილსაც და კანთელაძესაც უჭირთ ბურთთან დაუყოვნებელი, სწრაფი განშორება. ისინი გაუმართლებლად აფერხებენ გადაცემას, არაზუსტად ასრულებენ მას.

მოკლებული იყო ფართო მანევრირების საშუალებას თავდასხმა. ამ მატჩში თბილისის "დინამოს" წინ ფაქტიურად ჰყავდა მხოლოდ 2 ფორვარდი - გ. და ლ. ნოდიები. ორივემ ინერტულად ჩაატარა თამაში. ორივე შეუმჩნევლად გაითქვიფა როსტოველთა დაცვის მასაში.

თბილისელები მეტისმეტად ტრაფარეტულად, ყოველგვარი გამომგონებლობის გარეშე, ნელა ასრულებენ კომბინაციებს სტანდარტული მდგომარეობებიდან. თავისუფალი და საჯარიმო დარტყმები, კუთხური და ა.შ. ისე ჰგვანან ერთმანეთს, ისე ერთფეროვანი და დაგვიანებულია, რომ მოწინააღმდეგისთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს. მან წინასწარვე იცის რაც მოხდება და ყოველთვის ასწრებს სათანადო კონტრზომების მიღებას. იგივე საყვედური ეთქმის ურუშაძესაც. იგი აღებულ ბურთს დააგდებს მიწაზე, მიიტანს საჯარიმო მოედნის ხაზამდე და მერე ეძებს თავისუფალ პარტნიორებს, ისეთები იქ აღარ არიან ხოლმე, ყველა განაწილებული ჰყავს მოწინააღმდეგეს.

ანგარიში 33-ე წუთზე გახსნა მაჩაიძემ, მაგრამ გოლი უფრო კუდასოვის შეცდომას უნდა მივაწეროთ. შესვენების შემდეგ, 57-ე წუთზე რომანოვს შესაძლებლობა მიეცა საპასუხო ბურთი გაეტანა - 1:1.

ქულის მხსნელად მოგვევლინა როსტოველთა ცენტრალური მცველი ანტონევიჩი. ხურცილავას გარღვევის შემდეგ ძლიერად დარტყმულ ბურთზე ერთდროულად გადიოდნენ გ. ნოდია და ანტონევიჩი. როსტოველმა ვერ გამოზომა დარტყმა, და საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი. აი, ამ გოლმა მოუტანა გამარჯვება თბილისელებს.

ბ. ქორქია.

"ლელო", 28 აგვისტო, 1969 წ.